ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 58
23/08/2019

58-08-4-201908231549

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 30 აგვისტოს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის დამატებით საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

1.3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 1 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.ს. ,,ზოტი ჰიდრო“-სათვის (ს/კ - 28.23.21.254) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (სასყიდლიანი აღნაგობა) გადაცემასა და სარგებლობის უფლებით (სასყიდლიანი აღნაგობის) გადაცემისას ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე კულტურის სახლის შენობანაგებობისა და მასზე დამაგრებული 2700.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.10.23.097) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის თაობაზე 26/07/2019 წლის N37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

2.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა